ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი

მერის ანგარიში 2020 წელს გაწეული
საქმიანობის შესახებ

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი დაზუსტებული ბიუჯეტი 20 750 173 ლარს შეადგენს.

  ფაქტიური ხარჯი 01 დეკემბრის მდგომარეობით 16 568 661 ლარია, რაც წლიური გეგმის შესრულების 80 % -ს შეადგენს.

- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის წლიური შემოსულობების გეგმა 18 657 387 ლარია. ფაქტიურმა შემოსულობამ 11 თვის მდგომარეობით შეადგინა 15 820 293 ლარი, რაც წლიური შემოსულობები გეგმის შესრულების 85 %-ია.



შესყიდვები

- 2020 წლის შესყიდვების წლიური გეგმა 9 754 978 ლარს შეადგენს. 01 დეკემბრის მდგომარეობით გამოცხადდა 132 ტენდერი, მათ შორის:

გაფორმდა – 107 ხელშეკრულება

გამოცხადებულია – 1

არ შედგა – 1

შეწყდა – 23

- გარდა ამისა, 2020 წელს, გამარტივებული შესყიდვების საშუალებით 71, ხოლო კონსოლიდირებული შესყიდვების საშუალებით 38 ხელშეკრულება გაფორმდა.

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარება

- 2020 წელს, დაგეგმილი 96 კაპიტალური პროექტიდან 77 დასრულებულია, 19 პროექტზე მიმდინარეობს სამუშაოები.



- წყალმომარაგება – 1 534 896 ლარი
- გზების არმირებული ბეტონის საფარით მოწყობა – 1 258 417 ლარი
- გზების მოწყობისათვის მზა ბეტონის შეძენა – 400 000 ლარი
- სტადიონები, სკვერები, მოსაცდელები – 240 567 ლარი
- ფერდდამცავი კედლები – 559 435 ლარი
- ამბულატორიები – 353 483 ლარი

საგზაო ინფრასტრუქტურა

- 2020 წელს, შიდა სასოფლო გზების არმირებული ბეტონის საფარით მოწყობის 24 პროექტი ხორციელდება. ამ მიმართულებით, მუნიციპალიტეტის მასშტაბით 15 კილომეტრამდე ადგილობრივი მნიშვნელობის გზა მოეწყო.

- გარდა ამისა, დამატებით, შიდა სასოფლო გზების მოწესრიგების მიზნით შეძენილ იქნა 3 000 $მ^3$ მზა ბეტონი. პროექტის შედეგად, მოსახლეობის ჩართულობით კეთილმოეწყო 11კილომეტრამდე ადგილობრივი მნიშვნელობის გზა.

- საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, ადგილობრივი გზების მეწყერსაშიშ მონაკვეთებზე, ხელოვნური ნაგებობების მოწყობის 18 პროექტი ხორციელდება. მიმდინარე ეტაპზე, დასრულებულია 16 ერთეული ფერდსამაგრი კედლისა და დამცავი გაბიონის მოწყობა, 2 პროექტი დასკვნით ფაზაშია. აღნიშნული მიმართულებით, 2020 წელს, 201 400 ლარი იყო გამოყოფილი.

წყალმომარაგება

2020 წელს, წყალმომარაგების უზრუნველყოფისათვის 1 534 896ლარია გამოყოფილი.

ამ მიმართულებით, ჯამში 8 პროექტი ხორციელდება:

- დასკვნით ფაზაშია ახალსოფლის სასმელი წყლის წყალსადენის მშენებლობისა და მაგისტრალის მოწყობის სამუშაოები. პროექტის განხორციელებით 900 ოჯახი მომარაგდება სასმელი წყლით.
- წყლის ჭაბურღილების მოწყობა უკვე დასრულდა სოფელ გემურაულსა და ზედა ახალშენში (ჯიბინაურის დასახლება).
- სასმელი წყლის სისტემები მოეწყო სოფელ ზანაქიძეებში და წინსვლაში.
- სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს სოფელ ქვედა სამებაში და წინსვლაში (ვანელების უბანი). აღნიშნული პროექტები ითვალისწინებს სასმელი წყლის რეზერვუარებისა და მაგისტრალების მოწყობას ქ. ბათუმის წყლის სისტემაზე დაერთებით.
- სანიაღვრე არხის მოწყობა დასრულდა სოფელ მირვეთში.

აღნიშნული პროექტების განხორციელებით, სუფთა სასმელი წყლით მომარაგდება 1 745 ოჯახი.

მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები

- სოფელ ხელვაჩაურის სკოლის მიმდებარედ დასრულდა მინი სტადიონის და სკვერის მოწყობა.

  სკვერები მოეწყო ასევე, სოფელ თხილნარის მეურნეობაში N3 და N4 სახლებთან და სოფელ სიმონეთში სკოლის მიმდებარედ.

  დასასრულს უახლოვდება სოფელ თხილნარის ცენტრის კეთილმოწყობის სამუშაოები. აღნიშნული მიმართულებით მიმდინარე წელს, ჯამში 166 927 ლარი იხარჯება.

- მიმდინარე წელს, ხელვაჩაურში სამი ამბულატორია შენდება. აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა შემდეგ პროექტებზე:

  1. სოფელ სალიბაურში ამბულატორიისა დ ადმინისტრაციული შენობის მშენებლობა.
  2. სოფელ ახალსოფელში არსებული ამბულატორიის დემონტაჟი, ახალი ამბულატორიისა და ადმინისტრაციული შენობის მშენებლობა.
  3. სოფელ ჭარნალში ამბულატორიის მშენებლობა.

  აღნიშნული პროექტებისათვის 350 848 ლარია გათვალისწინებული.

- სტიქიური რისკის ზონაში მცხოვრები ოჯახების საცხოვრებელი სახლების მიმართ, ფერდსამაგრი ნაგებობების მშენებლობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, 2020 წელს, 32 პროექტი დაიგეგმა, რომელთაგან 28 უკვე დასრულებულია, ხოლო 3 მიმდინარეობს (ბიუჯეტი 358 000ლარი).

  2021 წელს, მეწყერსაშიშ ზონებში ხელოვნური ნაგებობების მშენებლობისათვის 3 000 000 ლარი იქნება გათვალისწინებული.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამა

2020 წელს, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ბიუჯეტი 968 000 ლარია. პროგრამის სახელშეკრულებო ღირებულებამ 941 772 ლარი შეადგინა. მოქალაქეებმა საკუთარი სოფლისთვის თავად შეარჩიეს პროექტები.

- მოსახლეობის უმრავლესობამ უპირატესობა შიდა სასოფლო გზების მოწესრიგებას მიანიჭა. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება 25 კილომეტრამდე შიდა სასოფლო გზების ბეტონის საფარით მოწყობა.

- გარე განათების მოწყობა მიმდინარეობს სოფელ ზედა ერგეში და სამებაში. სამუშაოები დასრულებულია სოფელ ფერიაში. აღნიშნულ 3 პროექტზე, პროგრამის ბიუჯეტიდან 25 270 ლარი იხარჯება.

- სკვერის მოწყობა გადაწყვიტა სოფელ მაჭახლისპირის მოსახლეობამ.

- წყლის მილების შეძენა მოითხოვა სოფელ ჩიქუნეთის მოსახლეობამ.

	შიდა გზები	გარე განათება	სკვერი	წყლის მილები
ლარი	907,443	25,529	7,000	1,800

მე-4 სოციალური სახლის მშენებლობა კაპრეშუმში

დასკვნით ფაზაშია სოფელ კაპრეშუმში მე-4 სოციალური სახლის მშენებლობა.

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ხელვაჩაურში რეგისტრირებულ 39 ეკომიგრანტ ოჯახზეა გათვალისწინებული.

პროექტის ღირებულება 2 977 792 ლარია.

ახალშენის საბავშვო ბაღი, ავგიის დაწყებითი სკოლა

- აქტიურად მიმდინარეობს ახალშენის საბავშვო ბაღის სამშენებლო სამუშაოები. საბავშვო ბაღი 240 აღსაზრდელზეა გათვლილი. პროექტი თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით არის შედგენილი, მისი ღირებულება 2 222 222 ლარს შეადგენს.

- სოფელ ავგიაში დასრულდა დაწყებითი სკოლის სარემონტო სამუშაოები, პროექტი ითვალისწინებდა შენობის სრულ რეაბილიტაციას, მათ შორის ეზოს კეთილმოწყობას. სამუშაოებისათვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 169 498 ლარი გამოიყო.

ინფრასტრუქტურული პროექტები და ზედამხედველობა

- 2020 წელს, მერიის საპროექტო განყოფილების მიერ მომზადდა 98 ერთეული სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტი, მათ შორის: წყლის სისტემების, მეწყერსაწინააღმდეგო ხელოვნური ნაგებობების, ამბულატორიების, საგზაო ინფრასტრუქტურის, სკვერების, გარე განათების და სანიაღვრე არხების მშენებლობის პროექტები.

  მომზადებული პროექტები შესრულებისათვის პრიორიტეტების მიხედვით მომდევნო წლებზე გადანაწილდება. ამ ეტაპზე, მიმდინარეობს რვა ერთეული სხვადასხვა ინფრასტრუქტურული საპროექტო – სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება.

- მიმდინარე წელს, ზედამხედველობის სამსახურის მიერ, მერიის ინფრასტუქტურული მშენებლობის 98 და კერძო მშენებლობის 57 ობიექტზე ხორციელდება ტექნიკური კონტროლი.

- ექსპლუატაციაში მიღებულია მშენებლობის ნებართვით აშენებული 6 ობიექტი, სააღსრულებო ბიუროში გადაცემულია 7 სქმე, ამოღებულია ჯარიმა 2 400 ლარის ოდენობით.

ქონების მართვა

- 2020 წელს, ქონების მართვის განყოფილების მიერ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დარეგისტრირებული იქნა ჯამში 49 ერთეული სხვადასხვა სახის ობიექტი.
- უზუფრუქტის, სერვიტუტისა და თხოვების წესით დროებით სარგებლობაში გადაცემული იქნა 21 ოქბიექტი.
- ერთი მოქალაქისათვის განხორციელდა ბინის პრივატიზაციის პროცედურა და საკუთრებაში გადაეცა კანონიერ სარგებლობაში არსებული საცხოვრებელი სახლი.
- იჯარის ფორმით, დროებით სარგებლობაში აუქციონის წესით გადაცემაზე აუქციონი გამოცხადდა 6 ობიექტზე, საიდანაც გაიცა მხოლოდ ერთი.
- მიმდინარე წელს, მომზადებული იქნა 11 ერთეული დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნა და 27 ერთეული აზომვითი ნახაზი.

ჯანდაცვა

2020 წელს, ჯანდაცვის პროგრამების ბიუჯეტი 841 620 ლარს შეადგენს, რაც წინა წლის ბიუჯეტს 95%-ით აღემატება. პროგრამებით ჯამში 856-მა ბენეფიციარმა მიიღო სარგებელი. მერიაში მოქმედებს ჯანდაცვის 9 მიზნობრივი პროგრამა:

1. პარკინსონით დაავადებულ პირთა სფეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა.
2. დიალიზით მოსარგებლე პირთა ტრანსპორტირების ხარჯით უზრუნველყოფა.
3. პირველადი ჯანდაცვის ცენტრების ფუნქციონირების ხელშეწყობა.
4. სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარების ხელშეწყობა.
5. თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთათვის.
6. ვეტერანთა მედიკამენტებით დახმარების პროგრამა.
7. ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთა ერთჯერადი მატერიალური დახმარება.
8. ბავშვთა აბილიტაცია/რეაბილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა სატრანსპორტო კომპენსაციით უზრუნველყოფა.
9. 0-დან-200000-მდე ქულის მქონე მოვლის საჭიროების პირთა დახმარერება.



სოციალური დაცვის პროგრამები

2020 წელს, სოციალური დაცვის პროგრამების ბიუჯეტი 493 803 ლარია. პროგრამებით ჯამში 708 ბენეფიციარმა მიიღო სარგებელი. მერიაში მოქმედებს 8 მიზნობრივი პროგრამა:

1. ომის მონაწილეებსა და დაღუპულთა ოჯახის წევრებზე სადღესასწაულო დღეების ორგანიზება და დახმარება.
2. პირველ და მეორე ახალშობილზე 0 – 200 000 სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახების ერთჯერადი მატერიალური დახმარება.
3. უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფა.
4. 0-დან 100 000-მდე ქულის მქონე სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის ოჯახის წევრის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ერთჯერადი მატერიალური დახმარება.
5. მრავალშვილიანი დედების (ყოველ მე-3 და მომდევნო შვილის შეძენისას) ერთჯერადი მატერიალური დახმარება.
6. მრავალშვილიან და დედ-მამით ობოლ ბავშვთა (18 წლამდე ასაკის ბავშვები) ოჯახებისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარება.
7. მარტოხელა მშობლების (მარტოხელა დედა და მარტოხელა მამა) ერთჯერადი მატერიალური დახმარება.
8. 0-დან 100 000-მდე სარეიტინგო-ქულის მქონე ოჯახების გაზიფიცირება. ბიუჯეტი 40 000 ლარი.





სოციალური უზრუნველყოფა

- 2020 წელს, სარეზერვო ფონდის წლიური გეგმა შეადგენს 391 911 ლარს. ფაქტიური ხარჯი გაწეულია 379 326 ლარის ოდენობით. სულ ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან მუნიციპალიტეტის მასშტაბით დახმარება გაეწია 672 ოჯახს. მათ შორის, მატერიალურად მძიმე მდგომარეობაში მყოფ 615 ოჯახს გაეწია ერთჯერადი დახმარება ჯამში 290 892 ლარის ოდენობით.
- სტიქიის შედეგად დაზარალებული 142 მოქალაქე გაყვანილი იქნა დროებით თავშესაფარში, თითოელ ოჯახზე მერიის მიერ გამოყოფილია ქირის საფასური თვეში 300 ლარის ოდენობით (212 400 ლარი).
- ხანძრის შედეგად დაზარალებული 9 ოჯახი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის თანადაფინანსებით დაკმაყოფილებული იქნა ჯამში 114 315 ლარის ოდენობით.
- საცხოვრებელი სახლის გამაგრებითი სამუშაოებისათვის 1 ოჯახს გამოეყო 15 000 ლარი.





განათლება, კულტურა, სპორტი

უმაღლესი განათლების ხელშეწყობის ფარგლებში განხორციელდა ,,მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტთა მხარდაჭერის პროგრამა“ (ბიუჯეტი – 40 000 ლარი), რომლის ფარგლებშიც:

- პირველ სემესტრში დაფინანსდა 38 სტუდენტი (თითოეული 500 ლარით);
- მეორე სემესტრში დაფინანსდა 48 სტუდენტი (თითოეული 430 ლარით);
- ასევე, პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა ერთი შშმ სტუდენტის ტრანსპორტირება.

მიუხედავად პანდემიით გამოწვეული არსებული მდგომარეობისა, ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციების გათვალისწინებით, სამსახურის ორგანიზებით, გაიმართა სხვადასხვა კულტრულ-შემოქმედებითი ღონისძიებები:

- სოფლის ღვაწლმოსილ ადამიანებთან შეხვედრა (დაჯილდოვდა11 ადამიანი).
- სარფის სანაპიროზე გაიამართა სახალხო დღესასწაული ,,კოლხობა''.
- პოეტ იაშა თანდილავას საიუბილეო ღონისძიება (70 წელი).
- მაჭახელას და მარადიდის ხეობაში კინო გადაღების მხარდაჭერა.
- 9 მაისის, 26 მაისის, 22 ივლისისა და 8 აგვისტოს ღონისძიებები. აღნიშნულ დღეებთან დაკავშირებით მომზადდა სპეციალური ვიდეორგოლები, რომლებიც განთავსდა ინტერნეტსივრცეში – მუნიციპალიტეტის ოფიციალურ გვერდებზე.

2020 წელს, სპორტის ხელშეწყობისათვის 512 705 ლარია გამოყოფილი.

- ჩატარდა საჯარო სკოლებს შორის 30-ე სპორტული თამაშები ჭადრაკში, ხელბურთსა და მაგიდის ჩოგბურთში.
- საქართველოს სამოყვარულო ფეხბურთის ასოციაციის ინიციატივით და ხელვაჩაურის მუნიციპალეტის მერიის მხარდაჭერით, 20-21 აგვისტოს, ახალსოფლის ფეხბურთის მოედანზე გაიმართა ტურნირი ფეხბურთში (11x11), შეჯიბრებაში 90 ახალგაზრდა იყო ჩართული.
- საფეხბურთო კლუბ ,,მაჭახელას“ განვითრებისათვის 117 600 ლარი იქნა გათვალისწინებული.

ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრი

არსებული პანდემიური ვითარებიდან გამომდინარე, ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცეტრის მიერ, დისტანციურად, ასევე ღია ცის ქვეშ, ჯამში 44 სხვადასხვა სახის აქტივობა და ღონისძიება გაიმართა, სადაც 940 ახალგაზრდა იყო ჩართული.

წლის განმავლობაში 319-მა ახალგაზრდამ ისარგებლა ბიბლიოთეკით.

განხორციელდა საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო სახის შემეცნებითი, საგანმანათლებლო, გასართობ-შემოქმედებითი და წამახალისებელი ღონისძიებები:

- სამ დღიანი ეკო–ბანაკი გონიო–აფსაროსის ციხის ტერიტორიაზე, რომელიც დასრულდა ეკოტურით დენდროლოგიურ პარკში
- ჩემპიონატი მხიარულთა და საზრიანთა ნაკრებ გუნდებს შორის
- ინტელექტუალური სახის შეჯიბრებები
- ჭადრაკის შემსწავლელი გაკვეთილები
- ლიტერატურული მარათონები
- დებატები სხვადასხვა აქტუალურ თემებზე
- შემოქმედებითი, სანახაობითი და წამახალისებელი ღონისძიებები ღია ცის ქვეშ
- დისტანციური შეხვედრები სხვადასხვა დარგის სპეციალისტებთან (ფსიქოლოგებთან, კინომცოდნეებთან, მწერლებთან, ფილოლოგებთან)
- მოხალისეობრივი აქტივობები ახალგაზრდების ჩართულობით
- აღინიშნა ისტორიული მნიშვნელობის თარიღები ახალგაზრდების მონაწილეობით

ტურიზმი

- აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ინიციატივით შემენილი იქნა პროექტი ,,მაჭახელას ეთნო სოფელი“, რომელიც ხელს შეუწყობს კულტურული ტურიზმისა და მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის თანადაფინანსებით დასრულდა პროექტი ,,ტურისტული მარშრუტი ქედა-ყოროლისთავი-მტირალას ეროვნული პარკი”. პროექტის ფარგლებში მოეწყო ახალი ტურისტული ბილიკი. პროექტი არასამთავრობო ორგანიზაცია ,,შავი ზღვის ეკოაკადემიის” მიერ განხორციელდა.

- ფოლკლორისა და ტრადიციების წარმოჩენისათვის, მომზადებული იქნა ვიდეორგოლები, რომელიც განთავსებულია ინტერნეტსივრცეში – მუნიციპალიტეტის ოფიციალურ გვერდებზე.

ბუნებრივი რესურსები და აგრარული საკითხები

- ,,სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების ეფექტური დაცვა გარეული ცხოველებისგან - ელექტრო ღობე", დაკმაყოფილდა პროექტში მონაწილე 43 ბენეფიციარი, შედეგად შეიღობა 21,91 ჰა მიწის ფართობი.

- 350 ბენეფიციარი ისარგებლებს მიზნობრივი პროგრამით ,,შეშის ჩანაცვლება სხვა ალტერნატიული წყაროთი - ბრიკეტით".

- მუნიციპალიტეტის მერია აქტიურად იყო ჩართული აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელშეწყობით, მოსახლეობისათვის უფასოდ, საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების, კერძოდ, სახნავ-სათესი ფართობების დამუშავების პროცესში. ხელვაჩაურში, პროგრამის ფარგლებში 184 ჰა მიწის ფართობია დახნული, შედეგად, 419 ოჯახმა მიიღო სარგებელი.

- COVID-19-თან დაკავშირებით, ფერმერების ხელშეწყობისა და ბოსტნეული კულტურების წარმოების მიზნით, ა(ა)იპ ,,აგროსერვის ცენტრის" პროგრამის ფარგლებში, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტს უსასყიდლოდ გადმოეცა 269 202 ცალი ბოსტნეულის ჩითილი. ჩითილების განაწილება მოსახლეობაზე მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყო.

- აქტიურად მიმდინარეობდა აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები, სამუშაოები მოიცავდა ცალკეული უბნების როგორც ცივი შესხურებით ასევე, თერმულ დამუშავებას.

- სპეციალური კომისიის მიერ შერჩეული, გადაუდებელი საჭიროების მქონე 21 ბენეფიციარი დაკმაყოფილდა პირველი ხარისხის ხე-ტყის მასალით.

მოქალაქეთა მომსახურება და სამოქალაქო ჩართულობა

- 2020 წელს, მერთან მიღებაზე, ელექტრონულ ჟურნალში რეგისტრაცია გაიარა 1120-მა მოქალაქემ.
- მოქალაქეთა მომსახურების რეგისტრაციის ჟურნალში გატარდა – 278 მოქალაქე.
- მიმდინარე წელს, მერიაში განხილული იქნა 17 007 განცხადება/კორესპონდენცია, მათ შორის 9 967 შეადგენდა მოქალაქეთა განცხადებებს.
- საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით სულ შემოსულია – 87 განცხადება, ყველა განცხადება დაკმაყოფილებულია პასუხით.

- მუნიციპალიტეტის მერიასა და სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტს შორის გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, მერიამ მონაწილეობა მიიღო ადგილობრივ თვითმმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობის ხარისხის შეფასების („ბენჩმარქინგის“) კვლევაში.
- მიმდინარე წლის 20 ნოემბერს, ხელვაჩაურის კულტურის სახლის შენობაში გაიმართა 2021 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საჯარო განხილვა.
- უფრო მეტი გამჭვირვალობის მიზნით, 25 ნოემბერს, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის ორგანიზებით და მერთან არსებული სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ჩართულობით, უკვე ონლაინ პლათფორმის გამოყენებით შედგა მომდევნო წლის პროექტების განხილვა. მოქალაქეებს საშუალება ჰქონდათ პირდაპირ ეთერში გამოეთქვათ საკუთარი მოსაზრებები და დაესვათ კითხვები მერიის წარმომადგენლებისათვის. მოქალაქეთა მოთხოვნები და შესაბამისი მოსაზრებები მერის მრჩეველთა საბჭოს მიერ, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას, რეკომენდაციის სახით გაეგზავნება.

სამხედრო აღრიცხვა

2020 წლის იანვარი-აპრილის პერიოდში, ჩატარდა 2003 წელს დაბადებულ ჭაბუკთა პირველადი სამხედრო აღრიცხვა. აღრიცხვას ექვემდებარებოდა 325 ჭაბუკი, აღრიცხვაზე აყვანილი იქნა 264. კოვიდ პანდემიიდან გამომდინარე, 61 ჭაბუკი აღრიცხვაზე აყვანილი იქნება 2021 წლის იანვარი-აპრილის პერიოდში.

2020 წელს, სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვეულია 65 წვევამდელი. (გაწვევა გრძელდება 24 დეკემბრამდე) ასევე:

- *ცნობილი იქნა შეზღუდულად ვარგისად სამხედრო სამსახურისათვის 59 წვევამდელი.*
- *მიეცა გადავადება ჯანმრთელობის მდგომარეობით 12 წვევამდელს.*
- *მიეცა გადავადება სწავლისა და ოჯახური მდგომარეობის გამო 166 წვევამდელს.*
- *გირჩის ცნობა წარმოადგინა 12-მა წვევამდელმა.*
- *27 წლის ასაკობრივი ზღვარის გამო რეზერვში გადაირიცხა 345 წვევამდელი.*

მიმდინარე წელს, სამსახურის მიერ გაიცა 109 დროებითი მოწმობა (სამხედრო ბილეთი).

- *რეზერვში აყვანილი იქნა ჯამში 537 სამხედრო ვალდებული.*
- *აღრიცხვიდან მოხსნილია 102 სამხედრო ვალდებული.*



მუნიციპალური ორგანიზაციები

ხელვაჩაურის მერიაში არსებული მუნიციპალური დაწესებულებების 2020 წლის საერთო გეგმა 7 036 890 ლარია. 11 თვის მდგომარეობით ხარჯი შეადგენს 6 242 126 ლარს, რაც წლის გეგმის შესრულების 89 %-ია.

- **ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანება**
  2019 წლის გეგმა – 3 645 469 ლარი, 2019 წლის ფაქტიური შესრულება – 3 521 562 ლარი (97 %)
  2020 წლის გეგმა – 3 229 545 ლარი, 2020 წლის 11 თვის ფაქტიური შესრულება – 2 798 629 ლარი (87 %)

- **ა(ა)იპ ხელვაჩაურის გამწვანების, დასუფთავებისა და კომუნალური მომსახურების სამსახური**
  2019 წლის გეგმა – 853 401 ლარი, 2019 წლის ფაქტიური შესრულება – 727 487 ლარი (85 %)
  2020 წლის გეგმა – 960 745 ლარი, 2020 წლის 11 თვის ფაქტიური შესრულება – 799 332 ლარი (83 %)

- **შპს ხელვაჩაურის წყალკანალი**
  2019 წლის გეგმა – 835 462 ლარი, 2019 წლის ფაქტიური შესრულება – 835 421 ლარი (100 %)
  2020 წლის გეგმა – 1 072 614 ლარი, 2020 წლის 11 თვის ფაქტიური შესრულება – 1 026 918 ლარი (96 %)

- **ა(ა)იპ ხელვაჩაურის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი**
  2020 წლის გეგმა – 853 000 ლარი, 2020 წლის 11 თვის ფაქტიური შესრულება – 785 021 ლარი (92 %)

- **ა(ა)იპ ხელვაჩაურის სასპორტო სკოლა**
  2019 წლის გეგმა – 473 340 ლარი, 2019 წლის ფაქტიური შესრულება – 470 299 ლარი (99 %)
  2020 წლის გეგმა – 369 352 ლარი, 2020 წლის 11 თვის ფაქტიური შესრულება – 323 550 ლარი (88 %)

- **ა(ა)იპ ხელვაჩაურის სასაფლაოები**
  2019 წლის გეგმა – 352 740 ლარი, 2019 წლის ფაქტიური შესრულება – 336 642 ლარი (95 %)
  2020 წლის გეგმა – 434 234 ლარი, 2020 წლის 11 თვის ფაქტიური შესრულება – 403 365 ლარი (93 %)

- **შპს საფეხბურთო კლუბი მაჭახელა**
  2019 წლის გეგმა – 84 950 ლარი, 2019 წლის ფაქტიური შესრულება – 83 857 ლარი (99 %)
  2020 წლის გეგმა – 117 600 ლარი, 2020 წლის 11 თვის ფაქტიური შესრულება – 105 311 ლარი (90 %)

მადლობას გიხდით

ყურადღებისათვის!